პარასკევი, 23 მარტი 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი — № 64

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ“.

კვირას, 25 მარტს, ქ. სოხუმის წმ. გიორგის სასაფლაო ეკკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

ონისიმე ივ ნეს-მის ბუჩუკურიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც უნუგეშოდ დარჩენილი მეუღლე განსვენებულისა ფეოდოსია და მამა ივანე ბუჩუკურიძე აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს. (1—6.—1)

ბეჭდვითი საქმის მუშაკთი პროფესიონალური საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ მან გახსნა

კანტორა

სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, მეორე სართულზე, № 119, სადაც მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ საზოგადოების წევრათ. აქვე უნდა ჩაეწერონ უადგილო მუშები ამ ხელობისა.

კანტორა ღია არის დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე.

ნამდვილი კახური ღვინო




ფასები ყველასათვის ხელმისაწვდენი. (100—39)

ექიმი
ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—12)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—73)

ექიმი
ვ. ხ. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი

იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. იღებს დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპექტი, სახლი აბულაძისა, № 26. (25—6.—10.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე

განაზა და ვენერიული. დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

კბილის ექიმი
ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 6—7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—65)

ქუთ. სასოფლო-სამეურნეო ამხ.

„კოლხიდა“

აწვდის სოფლის მეურნეთგან შემოწმებულ აბრეშუმის თესლს, ცნობილ ფირმებისას; უცხოეთიდან გამოწერილ ბოსტნისა და ბალახების თესლეულობას. (იონჯა, კოინდარი), ხეხილების და ყვავილების ნერგებს. იქვე მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ სხვა და სხვა სამეურნეო იარაღი—მეაბრეშუმეობისა, მეფუტკრეობისა, ბოლოსნობისა და სხვა. 15 მარტიდან კვირა-პარასკევობით ამხანაგობა გამართავს საუბარს სხვა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საკითხზე. (30—6.—10)

მარტიდან ქ. ტფილისში გამოვა ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სინათლე“

გაზეთი წლიურად ღირს 7 მანეთად, თვიურად ტფილისში 70 კაპ. ტფილისის გარეთ 80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის

ფასი რჩევისთვის 50 კაპ.

განჯის დიდი ქუჩა, № 5. ალექსანდრის ბაღის მახლობლად.

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

რუდენკო—შინაგანი სნეულობანი. ხუთშაბათს და კვირას 3—4 ს.

ჩუდნოვსკი—ქირურგ. სნეულ. ორშაბ. და პარასკეობით 2—3 ს.

იანჩევსკი—ყურის, ყელის და ცხვირის. ოთხ., პარასკ. და სამშ. 2—3 ს.

ვნუკოვი—ქირურ. ორშაბ., ხუთშ., შაბათს და კვირას 2—3 ს.

როზმაინსკი—საბავშვო, ყოველდღე, შაბათისა და კვირის გარდა 4—5 ს.

აზპიზოვი—ყურის, ყელისა და ცხვირის. ორშაბ., სამშაბ. და შაბათს 1—2 ს. ხუთშაბათს და კვირას 12—1 ს.

კუჩევი. ნერვ. სამშ., ოთხშ. და შაბ. 12—1 საათზედ.

ნოვიცკი—ქალისა და ბავშვისა, ყოველდღე, კვირას გარდა 1—2 ს.

გორადლევიჩი. შინაგ. ყოველ დღე, 1—2 ს.

ნეუიმინი—თვალისა, ორშაბ., ოთხ. პარას. 12—1 საათზე.

ინაევი. ქალისა, ყოველ დღე 4—5 ს.

თეთრაძე—კანისა და ვენერ. ყოველდღე 1—2 საათზე.

ზოქოვსკი — შინაგანი წამლობა შთაგონებით; ყოველ დღე 4—5 ს.

მონზე—ბავშვებისა, სამშაბათს, ხუთშ., შაბათს 4—5 საათზე.

იოსელიანი:—ქალ. ორშ., ოთხ.. პარ. და კვირ. 12—2 ს.

გორობცოვა.—მასაჟი, ყოველ დღე 11—1 ს.

ნევშოროვა—კბილისა, ყოველდღე 11—5 ს.

პივარსკი, ჩუდნოვსკი — კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—67)

ქართული წარმოდგენა
ტფილისის საკრებულო

პარასკევს, 23 მარტს ქართული დრამატიული არტისტებისაგან ნინო ჩხეიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

სტუმარი

დრამა 2 მოქ. თხზ. ბრანდესისა, თარგ. ი. მაჭავარიანისა.

დედაკაცის საქმე

კომედ. 2 მოქ. გადმოკ. ვ. გუნიას მიერ.

ადგილების ფასი 3 მანეთიდან 50 კაპეიკამდე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი ვ. აბაშიძე.

ქუთაისში

შემთხვევით იყიდება ფრანგულ სახელოსნოში გაკეთებული მაუდის კოსტიუმი

ტფილისი, 23 მარტი.

სახელმწიფო სათათბიროს წარედგინა სახელმწიფო შემოსავლისა და გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა. სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვა, კრიტიკა და დამტკიცება ერთი უმთავრესი და უძვირფასესი უფლებათაგანია სახალხო წარმომადგენლობისა. ეს უფლება შეძლებას აძლევს პარლამენტს არა მარტო იზრუნოს ხალხის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად და თვალ-ყური ადევნოს სახ. შემოსავლის წესიერად ხარჯვას, არამედ გააძლიეროს თავისი გავლენა მთავრობის მთელს პოლიტიკაზე. ამ უფლებით უხვად სარგებლობენ ნამდვილ პარლამენტალურ ქვეყნებში და დიდ სამსახურს უწევენ ხალხს როგორც ქვეყნის საფინანსო მდგომარეობის გაუკეთესების საქმეში, ისე საერთოდ მთელის პოლიტიკის წესიერად წარმოებაში. ზევრგან ხალხის სრულუფლებობა არ არსებობს და დაბალი ხარისხის კონსტიტუცია ხელს უწყობს მთავრობის თვითნებობის განმტკიცებას, მაგრამ საბიუჯეტო უფლებით აღჭურვილი პარლამენტი ბევრად თუ ცოტად მაინც ლაგმავს მთავრობის აბსოლიუტისტურ მიდრეკილებას.

სამწუხაროდ, რუსეთის ბიუროკრატიის მიერ შექმნილი კონსტიტუცია იმდენად დამახინჯებულია, რომ პარლამენტის საბიუჯეტო უფლებაც თითქმის უმნიშვნელო ფორმად არის გადაქცეული. მართლაც, ძირითად კანონებისა და „დროებით“ კანონების ძალით, სათათბიროს კონტროლის გავლენიდან მოშორებულია თითქმის ბიუჯეტის მთელი ნახევარი. სათათბიროს დამტკიცება არ ესაჭიროება სამხედრო, საზღვაო და სასახლის სამინისტროების ხარჯებს, ესე იგი, 800 მილიონ მანეთზე მეტი უნდა გამოაკლდეს ბიუჯეტს და უკანტროლო სახარჯავათ მიეცეს მთავრობას. შემდეგ, სათათბიროს ნება არა აქვს შეეხოს იმ შტატებს, რომელნიც კანონებითა და უმაღლეს ბრძანებებით არიან დაწესებულნი, სანამ თვით ამ კანონებსა და ბრძანებებს არ გააუქმებს საკანონმდებლო გზით. ამ წესებს თუ მივიღებთ მხედველობაში, დავრწმუნდებით, რომ ბიუჯეტის ნახევარი სრულებით არ ექვემდებარება სათათბიროს და უკანასკნელის საბიუჯეტო უფლება ერთობ არის შეზღუდული.

მაგრამ არც ეს იკმარა ბიუროკრატიამ და დამატებითი კანონებით კიდევ უფრო შეამცირა პარლამენტის საბიუჯეტო უფლება. სახელდობრ, მთავრობას, გარდა იმისა, რომ ნება აქვს დროებითი კრედიტების გაიხსნას, სანამ ბიუჯეტი დამტკიცებულია, კიდევ ის უფლებაც აქვს, რომ ძირითად კანონების მე-87 მუხლის ძალით „საფინანსო ოპერაციები“ მოახდინოს. მართალია, ეს „ოპერაციები“ მერე სათათბირომ უნდა დაამტკიცოს, მაგრამ საქმის შესრულების შემდეგ თითქმის შეუძლებელია მისი დარღვევა, ნამეტურ კრედიტის საქმეში; ასე რომ სათათბირო ყოველთვის იძულებული იქნება დაამტკიცოს „ვაკაციების“ დროს მთავრობის მიერ შესრულებული „საფინანსო ოპერაციები“. ამიტომ აქვს მაგრა დგული ბიუროკრატიას; იმიტომ არის დამშვიდებული, რომ ესოდენ შეამცირა სახალხო წარმომადგენლების საბიუჯეტო უფლება. ამით აიხსნება ის ნამდვილი თავხედობა, რომლით ფინანსთა მინისტრს კოკოვცევს უთქვამს 20 მარტის სხდომაზე: ნუ ჰგონიათ, რომ მთავრობას უთქვენოდ გაუჭირდეს ხარჯების დაფარვაო, ამისათვის მას ხელთ აქვს საკმაო კანონიერი საშუალებანიო!

ამ პირობებში სათათბიროს როლი საბიუჯეტო საქმეში სრულიად უმნიშვნელო იქნება და ამიტომ უპირველესად ყოვლისა სახალხო წარმომადგენლების მოხდა, თუ სათათბირომ ხელთ არ იგდო ნამდვილი და არა ფიქტიური კანტროლი, რუსეთის ბიუროკრატიის თვითნებობასაც წინანდელი გასავალი ექნება და თვით ქვეყნის საფინანსო მდგომარეობა სამუდამოდ იმ ხასში და იმ უსამართლობაში იქნება, რომელშიაც დღეს იმყოფება...

რას წარმოადგენს რუსეთის თვითმპყრობელ ბიუროკრატიის ბიუჯეტი, მისი ფინანსიური პოლიტიკა? ორ მილიარდ შემოსავლიდან **ორი მესამედი** ღარიბსა და მშრომელ ხალხისაგან იკრიფება (პირდაპირისა და არა-პირდაპირის გადასახადებით) და მხოლოდ ერთი მესამედი უფრო შეძლებულ კლასებიდან. ორ მილიარდ გასავლიდან მხოლოდ 8% იხარჯება ხალხის კეთილდღეობის, ნივთიერ და სულიერ მდგომარეობის გაუმჯობესობაზე! დიდ ხანს წარჩინებულ მოხელედ და მინისტრადაც ნამყოფმა კუტლერმა ფინანსთა მინისტრის საპასუხო სიტყვაში სთქვა: ჩვენი ბიუჯეტი ძირიან-ფესვიანად უნდა გადაკეთდესო, რადგან უსამართლობისა და ხალხის დაჩაგვრა-დამონავების სისტემას წარმოადგენსო, რადგან ჩვენი საფინანსო პოლიტიკა „ის საქაჩავია, რომლით ღარიბთა მჭლე ჯიბეს ვაცარიელებთ მდიდართა მსუქან ჯიბის გასაძლიერებლადაო“-ო.

საფინანსო სისტემა რადიკალურად უნდა შეიცვალოს: უნდა შემცირდეს ხალხის საგადასახადო ტვირთი და გაძლიერდეს შეძლებულ კლასთა მონაწილეობა გადასახადებში, უნდა შემცირდეს უნაყოფო და უზომო ხარჯები ზოგ სამინისტროებისა, უნდა ერთი ათად გაძლიერდეს ის ხარჯები, რომელნიც ხელს უწყობენ ხალხის მატერიალურსა და სულიერს კეთილდღეობას. ეს-კი მოხდება მხოლოდ მაშინ, როცა ნამდვილი და არა თვითმპყრობელი კონსტიტუცია გვექნება, როცა რუსეთში დამყარდება ჭეშმარიტი და არა მოჩვენებითი სახალხო წარმომადგენლობა. მანამდის-კი სათათბიროს საბიუჯეტო უფლება უბრალო ფიქცია იქნება, როგორც თვით 17 ოქტომბერსა და 20 თებერვალს ბოძებული კონსტიტუცია არის ფიქცია.

## რუმინიის გლეხთა მოძრაობა

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული (№ 61), რუმინელ გლეხების მოძრაობა სრულიად არა ყოფილა ისეთი, როგორც ამას რუსეთის ოფიციალური სააგენტო გვიხატავდა, ე. ი. მხოლოდ ებრაელების წინააღმდეგ მიმართული. იგი წმინდა აგრარული მოძრაობაა, რომელსაც საგანგებო კომიტეტები ხელმძღვანელობენ. გაზეთ „რუსსკოე სლოვო“-ს კორესპონდენტი იწერება:

„მოძრაობა წმინდა აგრარულია და ტყუილა სცდილობენ ანტისემიტისმად მონათლონ ეს დიადი სოციალ-ეკონომიური მოძრაობა, ხმამაღალი მოთხოვნა მიწისა ხალხის მიერ“. ათი-ათასობით აჯანყებულა რუმინელი გლეხი სილატაკისა და გაჭირვების შურის საძიებლად, მაგრამ სულ ხუთი-ექვსი მკვლელობა არ მომხდარა და მარტო ეს ფაქტი კმარა იმის დასამტკიცებლად, რომ რუსეთისებურ პოგრომებთან საერთო არა აქვს რა რუმინიის დღევანდელ მოძრაობას. მთავრობამ ჩვეულებრივის ღონისძიებით გასცა პასუხი ხალხის მოთხოვნას—ჯარების მობილიზაცია მოახდინა და ტყვიები დაუშინა ხალხს. საჭირო შეიქნა სათადარიგო ჯარისკაცების გაწვევაც. მაგრამ... ბევრგან ეს გაწვეული ჯარისკაცები აჯანყებულ გლეხებს, თავიანთ ძმებსა და მამებს შეუერთდნენ“.

ამ გარემოებამ ძალიან დააფიქრა მთავრობა, თვალნათლივ დაინახა, რომ მარტო ეს ძველი საშუალება არა კმარა: კონსერვატორების სამინისტრო გადადგა [illegible] ბიან გაზეთები, მოკლე ხანში აგრარული კანონ-პროექტი წარედგინება პარლამენტს. განსაზღვრული უნდა იყოს „საკუთრების პრინციპის შეზღუდვა“, როგორც „რუსსკოე სლოვო“-ს კორესპონდენტი სწერს. მაგრამ ეს „შეზღუდვა“ მეტად უმნიშვნელოა: მემამულეს მხოლოდ ერთის წლით შეუძლიან მისცეს მამული მსხვილ მოიჯარადრეს და მოიჯარადრე ხუთ მამულის მეტს ვერ აიღებს იჯარით. ვითომ ამით ის უნდა მოახერხონ, რომ გლეხმა პირდაპირ მემამულისაგან აიღოს იჯარით ადგილი. მაგრამ უნდაც ეს კიდეც მოხდეს, გლეხის მდგომარეობა ძალიან მცირედ შეიცვლება. გლეხს მიწა უნდა და არა იჯარა და სანამ მიწა არ ექნება, არც აგრარული მოძრაობა მოისპობა. დღეს თუ მთავრობის ძალამ შეაჩერა მოძრაობა, ხვალ ისევ იფეთქებს იგი, რადგან მიწა მცონარის ხელშია და არა მუშისა.

## სათათბირო და საბჭო

(სააგენტოს დეპეშები)

**სათათბიროს სხდომა.**

კუტლერი (თავი კუტლერის სიტყვისა იხილე გუშინდელ ნომერში) ყველაზე მეტი შემოსავალი სახელმწიფოს მაგარ სასმელებისგანა აქვს, სახელდობრ—706 მილიონი მანეთი. აქედან 700 მილიონს საწყალი ხალხი იხდის. ეს ბიუჯეტის თითქმის მესამედია და სწორედ ეს არის მისი სუსტი ნაწილი. ზნეობრივისა და ეკონომიურის თვალსაზრისით თუ შევხედეთ საქმეს, უნდა ვისურვოთ, რომ არყის სმამ იკლოს, მაგრამ ფინანსიურის მხრით ასეთი სურვილი სახელმწიფო ხაზინის გაკოტრებას უდრის. დიდი სადამოჟნო გადასახადი სამშობლო მრეწველობას იფარავს საზღვარ-გარეთელ მეტოქეობისაგან, ხელს უწყობს, ძვირად გაიყიდოს საქონელი, რომელსაც დიდი გასავალი აქვს ხალხში; მაგრამ ესევე გარემოება არ აღვიძებს ტეხნიკის გაუმჯობესების და ფაბრიკა-ქარხნების რიგიანად მოწყობის ლტოლვილებას. თამბაქოს, ნავთის და ასანთის აქციზსაც ხალხის ჯიბე უძღვება. ხელ-მოკლე ხალხი იძულებულია ან უპირველესი სახმარი ნივთები იყიდოს და გადასახადები იხადოს, ან მოიკლოს ისეთი საგნები, რომელიც აუცილებლად საჭიროა ადამიანის ნორმალურ ცხოვრებაშიო. ორატორის გამოანგარიშებით, შეძლებული კლასი (საზოგადოება) პირდაპირ და არა პირდაპირ გადასახადს იხდის 350 მილიონს, დანარჩენს 1 მილიარდს და 300 მილიონს ღარიბი ხალხი იხდის. ხალხს დიდ-ძალი გადასახადი აწევს კისერზე. სიმძიმე იმ გადასახადებისა სჩანს იქიდან, რომ აუარებელი ნედოიმკა მოგროვდა, განსაკუთრებით გლეხთა გამოსასყიდ გადასახადების გადახდის დროს, რომელიც ახლა ბედზე უკვე გაუქმებულია. საკმაო აღვნიშნოთ მარტო ის, რომ ხალხს, რომელიც მიწას ამუშავებს და რომელსაც სხვა არავითარი წყარო შემოსავლისა არ გააჩნია, შემოსდის იმდენი, რომ გამოსაკვებადაც ვერა ყოფნის. დროა შევცვალოთ არსებული საფინანსო პოლიტიკა, მაგრამ შეუძლებელია დაუყოვნებელი გადასინჯვა ამ პოლიტიკისა და მთლად გადასახადის წეს-რიგისა ეხლა, რადგან საფინანსო კანონებს ღრმად აქვს ხალხში ფესვი გამდგარი, თუმცა ეს კანონები უვარგისია. არსებულ გადასახადების გაუქმება ადვილია, მაგრამ უკეთესის შექმნა მეტად ძნელია. თანამედროვე პირობებში უარეპირდაპირ გადასახადოდ ვერც ერთი სახელმწიფო ვერ იცოცხლებს. შემოსავლის კვალობაზე გაწერა გადასახადს სხვაგანაც არა აქვს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, ხოლო ჩვენში როგორც მთავრობის გამოანგარიშებიდანა სჩანს, იგი

ამისა, სამართლიანობა მოითხოვს, რომ შემოღებულ იქნას შემოსავლის კვალობაზე გადასახადიც. შეუძლებელია შემდეგში მაინც მოემატოს არა პირდაპირ გადასახადს. საზოგადოდ თუ დავასკვნით, რომ სახელმწიფოს არსებობა შეუძლებელია უპირაპირდაპირო გადასახადით, რომელიც ხალხს ერთმევა, მაშინ საჭიროა ისიც მივიღოთ, რომ აღებული ფული ამავე ხალხის სარგებლობას მოხმარდეს. გასავლის ბიუჯეტი ოთხ კატეგორიად განიყოფება: 718 მილიონი სახაზინო ოპერაციას უნდება, 451 მილიონი სამოქალაქო მმართველობას, 475 მილიონამდის ჯარს, 381 მილიონი სახელმწიფო ვალს. სახაზინო ოპერაციას 718 მილიონი ხმარდება 1250 მილიონ შემოსავლიდან. შემოსავალი შექმნილია არა საქმის წინ გაძღოლით, არა სახელმწიფო მეურნეობის ცოდნისა და უნარის გამოჩენით, არამედ მხოლოდ და მარტო ხალხის შევიწროებით. მაგალითად, არყის გაყიდვის საქმე ჯდება წელიწადში 217 მილიონ მანეთამდე, შემოსავალი კი უდრის 673 მილიონს. ცხადია, ამ არა ჩვეულებრივ მოგების წყარო არყის მეტის მეტად ძვირად გაყიდვაა. მონოპოლიის შემოღებამდე არაყი 5 მ. 60 კაპეიკად იყიდებოდა, ახლა-კი 8 მანეთად იყიდება.

ასეთი დიდი ოპერაცია, როგორიც ხაზინის მიერ არყის გაყიდვა, შეუძლებელია უშეცდომოდ მომხდარიყო. მე ვამბობ მხოლოდ იმას, რომ მონოპოლია მეურნეობის მხრივ ბრწყინვალე ოპოზიცია არ არის. რკინის გზის საფინანსო საქმეს ეტყობა ხარჯის შეუწყვეტელი გადიდება. შემოსავალი ხარჯს არ უსწორდება. რკინის გზა ვერ აკმაყოფილებს ხალხის ინტერესებს. აუარებელი ფული იხარჯება სამხედრო-სტრატეგიო გზების გასაყვანად, ხოლო ხალხისთვის საჭირო გზები უორთქლმავლოდ, უვაგონებოდ რჩება და გადასატან საქონლით ივსებაო. შემდეგ ორატორი შეეხო სამოქალაქო მმართველობას. მან სთქვა: ყველა შტატი რომ გადავათვალიეროთ და ზედ მეტი ჯამაგირი დავაკლოთ, მივიღებთ უმნიშვნელო ჯამს საერთო ბიუჯეტთან შედარებით, თუმცა ბევრია ისეთი მოხელეც, რომელთაც დიდი სამუშაოცა აქვთ და ცოტა ჯამაგირს იღებენ, მაგრამ მათი შრომა სრულიად საჭირო არ არის, იგი უსარგებლო და გამოუსადეგარია. მაგალითად, ბეჭდვითი საქმის მთავარ-სამმართველოს უფროსს და იმის თანაშემწეს ჯამაგირები სწორედ მაშინ მოუმატეს, როცა საცენზურო უწყებას გასაკეთებელი თითქმის აღარა დარჩა რა. საეროზო უფროსების შენახვა წელიწადში 9 მილიონ მანეთად ჯდება, მაგრამ მათს მზრუნველობას გლეხებისადმი ვნების მეტი არა მოაქვს რა. საჭიროა წინ-და-წინვე გადასხვაფერება ყველა უწყების ბიუჯეტისა ზევიდან ძირამდე. მხოლოდ მაშინ იქნება გაწმენდილი გზა ბიუჯეტის შესადგენად. რაც შეეხება სახელმწიფოს დაცვის ხარჯს, ხაზინამ მართალია დიდი ხარჯი გასწია იაპონიასთან ომის დროს, მაგრამ ამ ხარჯს ჩვენთვის არაფერი არ მოუცია, გარდა განადგურებისა, სირცხვილისა და დამცირებისა. რა გარანტიაა, რომ ეხლანდელი ხარჯები მაინც უზრუნველ გვყოფენ გარედან, თუ კი სამხედრო მმართველობა ძველებური დარჩება? სათათბირო სამართლიანად და პატრიოტულად მოიქცევა, თუ მკაცრ კრიტიკას გაუწევს სამხედრო და საზღვაო უწყებათა ხარჯს და დასტოვებს მხოლოდ იმას, რაც ძლიერ საჭიროა.

აქ პურიშკევიჩმა ორატორი შეაჩერა. თავმჯდომარემ სთხოვა, შენიშვნას ნუ აძლევს. პურიშკევიჩმა სთქვა: ჩემი სული ვერ ითმენს ზოგიერთ სიტყვას.

კუტლერმა განაგრძო: სახელმწიფო ვალის წლიური გადასახადი თითქმის 381 მილიონს უდრის. ეს გადასახადი სხვა სახელმწიფოებისაზე დიდია: საფრანგეთი იხდის წელიწადში 350 მილიონს, ინგლისი კი 255 მილიონს. მაგრამ თუ რუსეთის სახელმწიფო ვალის წლიურ გადასახადს შევადარებთ მთელ წლიურ ხარჯს, იგი, არც მაინცა და მაინც დიდი გამოვა. სულ გამოდის $17^1/_2\%$, საფრანგეთში და იტალიაში კი 30% უდრის. ვალის სიდიდე იმდენად საშიში არ არისო. ორატორი თანახმაა, რომ რუსეთის სახელმწიფო სესხი ჯერ გამოლეული და ძირ გამოთხრილი არ არის.

ამ დროს პურიშკევიჩი კიდევ გაერია: „თუმცა თქვენ მოწადინებული იყავითო", სთქვა მან.

კუტლერმა კვლავ განაგრძო: უნდა ვიცოდეთ, სად მიდის ნასესხი ფული. ნაყოფიერ საქმისათვის ჩვენ შეგვიძლიან და კიდეც უნდა ვისესხოთ ფული, მაგრამ ომისა და საავანტიურო საგარეო პოლიტიკისათვის ჩვენ ფული არა გვაქვს. სახელმწიფო კრედიტი უექველია გამოცოცხლდება, უკეთუ დამყარდება ნორმალური პირობები ცხოვრებისა, განახლდება პოლიტიკური წეს რიგი, გამეფდება კანონიერება მთავრობასა და ხალხის წარმომადგენლებთან, (ტაში ცენტრში). ხალხის წარმომადგენლებს მხოლოდ ამ პირობებში შეუძლიანთ იკისრონ პასუხის-მგებლობა სახელმწიფო მეურნეობის შედეგისა (ტაში). საზოგადოდ რომ დავასკვნათ, ჩვენი ბიუჯეტი ის მანქანაა, რომელიც საწყლის თხელ ჯიბიდან ფულს იღებს და მდიდრის ჯიბეებში ჰყრისო. ბოლოს კუტლერმა აღნიშნა ზოგიერთი უსარგებლო ხარჯი: მაგალითად, 6,500,000 მანეთი პოლიციისათვის, 2,000,000 მ. სხვა და სხვა დახმარების საქმისათვის. ზოგიერთ უსარგებლო ხარჯისთვის მოუმატებიათ, როგორც მაგალითად 4,000,000 მ. მიწის მომწესრიგებელ კომისიისთვის გადაუდვიათ. ეს კომისია მხოლოდ ხელს უშლის აგრარულ საკითხის ხალხის სასარგებლოდ გადაწყვეტას. 6,000,000 მ. გადასახლების საქმისთვის გადაუდვიათ. ეს ხარჯი, ხალხის სურვილის ადგილობრივ შესრულების მაგივრად, შორეულ ციმბირისკენ უთითებს. საერო განათლების სამინისტროს 5,500,000 მანეთიან თანხიდან ნაჩვენებია მხოლოდ 90,000 მანეთი, რომელსაც სხვა დანიშნულება მიუღია. ფინანსთა მინისტრის განსამარტებელ წერილებში ნათქვამია, რომ 1906 წლის სავარაუდო აღრიცხვაში 60 მილიონი მეტიაო. მაგრამ თუ გამოვაკლებთ 1906 წელს გამოცემულ მოკლე ვადიან 53 მილიონ მანეთის სესხს, რომელიც 1907 წლის შემოსავლიდან უნდა დაიფაროს და აგრეთვე რკინის გზისა და არყის შემოსავალს 32 მილიონს, რომელიც 1906 წელს მიაკერეს, ვნახავთ, რომ მეტი-კი არა, დეფიციტიც იქნება 25 მილიონი მანეთი. გაზეთების სიტყვით, 32 მილიონი მოკლე ვადიანი სესხი გამოუშვა სახელმწიფო ბანკმა და არა ხაზინამ. ვითომ ამ შერევაში ჩვენის საფინანსო წეს-რიგისთვის სახიფათო არაფერია? ჩვენ წინ ძნელი, უმადური საქმეა. ჩვენი უფლება ვიწროა, ვეცდებით გავაფართოვოთ იგი. არ შეგვიძლიან ახლო გაუაროთ ისეთ ხარჯებს, რომელიც, ჩვენი აზრით, უკანონოა, თუნდაც რომ დამტკიცება კანონით ჩვენი უფლება არიყოს. ჩვენის შრომის შედეგზეა დამოკიდებული იმის გადაწყვეტა, არსებობს თუ არა რუსეთში ხალხის წარმომადგენლობა? (ტაში ცენტრსა და მემარცხენეთა ერთ ნაწილში)

სხდომა შესწყდა 1 საათსა და 30 წუთზე და განახლდა 2 საათსა და 40 წუთზე.

პურიშკევიჩმა განაცხადა, რომ მემარჯვენეთა ინტერესების საზარალოდ ორატორები სიტყვების წარმოსათქმელად თავ. დოლგორუკოვის სახლში ეწერებიან. ორატორების ჩასაწერი ადგილი აქ უნდა იყოს (დარბაზში მოძრაობაა, ხმაურობა, სტვენა).

თავმჯდომარემ ასეთი განცხადება უადგილოდ სცნო.

ტესლენკოს წინადადებით სათათბირომ დროებით თავი დაანება ბიუჯეტის განხილვას და აირჩია კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი 15 კანონ-პროექტი.

დოლგორუკოვმა განაცხადა, რომ ჩემ სახლში არც ერთი ორატორი არ ჩაწერილაო (ტაში ცენტრში).

ფინანსთა მინისტრი. საქმის გამორკვევისა და დროის ეკონომიისათვის ნებას ვითხოვ ეხლავე პასუხი გავცე დემოკრატ კუტლერს... კუტლერმა თავისი განმარტებანი დაიწყო განცხადებით, რომ სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვა შემოსავლის მხრივ „გვარიანად" არის წარმოდგენილი. არ შემიძლიან არა ვთქვა, რომ ასეთი მოწონებაც ძვირფასია მთავრობისათვის, რომელიც ასეთ სუბუქ ქებასაც არ არის შეჩვეული. მაგრამ შემდეგ იყო ნათქვამი, რომ თუ შემოსავლის კლასიფიკაცია გაუმჯობესებულია, ეგევე არ ითქმის გასავლის კლასიფიკაციაზე. კუტლერი ვერ ხედავს, ეს კლასიფიკაცია 87 მუხლის თუ სხვა რომელიმე კანონის ძალით არის წარმოდგენილი და ათავებს განცხადებით, რომ სათათბიროს უფლება აქვს გადასინჯოს კლასიფიკაცია და შეასწოროს იგი. გაუგებრობის თავიდან ასაცდენად ვჩქარობ მოგახსენოთ, რომ გასავლის კლასიფიკაცია უმაღლეს მთავრობას არც წინად და არც ეხლა არ დაუმტკიცებია. კუტლერმა საკუთარის ადმინისტრატიულის გამოცდილებით უნდა იცოდეს, რომ სახელმწიფო გასავლის კლასიფიკაცია არასოდეს არ დამტკიცებულა საკანონმდებლო გზით და ვფიქრობ, რომ არც შემდეგში მოხდება ეს, რადგან ეს საქმე მეტად მოძრავია და დამოკიდებული სახელმწიფო მეურნეობის ამა თუ იმ ცვლილებისაგან. რასაკვირველია, თუ საბიუჯეტო კომისიაში შესაფერი შენიშვნები იქნება წარმოდგენილი უფრო უკეთესს კლასიფიკაციისათვის, სასურველია ცვლილების შეტანა, მაგრამ აქ ადგილი არა აქვს კანონმდებლობას. როცა კუტლერი გადავიდა ხარჯთ-აღრიცხვის არსებით მხარეზე, მან სხვათა შორის განაცხადა: ხარჯთ-აღრიცხვის დიდი ნაკლი არ არის, რომ გამოტოვებულია მარიამ დედოფლის მთელი უწყებაო. სიტყვა „გამოტოვებული" იმას ნიშნავს, რომ არ არის მოთავსებული, რაც უნდა იყოს. სხვა-ნაირად ვთქვათ, ვითომ არ არის ნაანგარიშევი შემოსავალ-გასავალი აღნიშნულ უწყებისა. მე ვამტკიცებ, რომ ეს უწყება არ არის გამოტოვებული, რადგან 1862 წლიდან სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვაში შედის ანგარიში შემოსავლისა, რომელიც ეკუთვნის ხაზინას, და აგრეთვე ხაზინის გასავლისაც. ანგარიში კი მთელის უწყებისა, რომელიც ცალკე ორგანიზაციას შეადგენს, არ შედის აღრიცხვაში. მინისტრის აზრით, თუ ეს ნაკლულევანებაა, უნდა საკანონმდებლო წესით შესწორდეს. მინისტრმა ისიც კი მოიხსენია, რომ საკანტროლო მოხელეს არ შეუძლიან დედოფალ მარიამის უწყებაში შესვლა და კანტროლის გაწევა, რადგან ამისთვის ახალი კანონია საჭიროო. შემდეგ მინისტრი შეეხო კუტლერის იმ ადგილს, სადაც იგი ამბობდა, რომ ბიუჯეტში ყველაფერი ცუდად არის შედგენილი, კანონები არეულია, ზოგი ხარჯის გასამართლებლად ძველის. ძველი კანონებია მოყვანილი, ზოგი ხარჯი პირდაპირ უმაღლესის ბრძანებით არის დაწესებულიო და სხვა. მინისტრის აზრით, ყოველივე ეს დაწვრილებით საბიუჯეტო კომისიამ უნდა გამოარკვიოს, მანამდე-კი დაჭეშმარიტებით რისამე თქმა შეუძლებელია. რაც შეეხება ძველ კანონებს, რომლებითაც ზოგიერთი ხარჯია გამართლებული, მინისტრის აზრის ეს მართალია; და ასე იქნება მინამდე, სანამ ძველი კანონები არ გაუქმდებაო, დაუმატა მინისტრმა. როდესაც სათათბირო, ძველის ნაცვლად, ახალ კანონებს დააწესებს, მაშინ ეს აღარ იქნებაო. მინისტრი შეეხო კუტლერის კრიტიკის მეორე ნაწილს, ესე იგი გადასახადების განაწილებას. კუტლერი წინადადებას იძლევა, შევცვალოთ მთელი წესი გადასახადებისა, არაპირდაპირ გადასახადების ნაცვლად შემოვიღოთ ახალი რამ გადასახადები და სხვა. მინისტრმა ეს შეუძლებლად სცნო. კუტლერმა სთქვა, ჩვენის გადასახადებიდან 300 მილიონს შეძლებული კლასები იხდიან, ერთ მილიარდს და სამას მილიონს კი ღარიბი კლასებიო. ეს იმიტომა ხდებაო, სთქვა მინისტრმა, რომ ჩვენში შეძლებული ძალიან ცოტააო. სამწუხაროა ეს, მაგრამ რას ვიზამთო. კუტლერმა თავის სიტყვაში განიხილა სახელმწიფო ხარჯის განაწილების საქმე და დაიწუნა. მინისტრმა იმედი გამოსთქვა, რომ ასევე არ შეხედავს საქმეს საბიუჯეტო კომისიაო. არყის მონოპოლიის შესახებ, რომლის გამოც კუტლერმა განაცხადა, რომ ხაზინამ ფასებს ძალზე აუწიაო, ფინანსთა მინისტრმა სთქვა, ყველა ამას დამტკიცება და გამოკვლევა უნდაო. მინისტრი შეეხო აგრეთვე რკინის გზებს, რომლებზედაც კუტლერმა სთქვა—მოუწყობელია, ვაგონები არ არის, დიდძალი საქონელი ლპება სადგურებზე, აუარებელი სტრატეგიული გზებია, საიდანაც ხაზინას ზარალი აქვსო და სხვა. მინისტრმა სთქვა, კრიტიკა ადვილია, საქმის გაკეთება-კი ძნელიაო. იგი შეჩერდა სტრატეგიულ გზებზე: ასეთ დიდ სახელმწიფოს, როგორიც რუსეთის, ამ გზებოდ არ შეუძლიან არსებობაო. კრედიტის შესახებ მინისტრმა სთქვა, მართალია რუსეთის კრედიტი დაეცა, ფულის შოვნა გაძნელდა, მაგრამ ასეთი საქმე ჩვენ არ გვემართება. ბურების ომის დროს ინგლისის კრედიტი დაეცა. დასასრულ მინისტრმა ილაპარაკა ჯარზე, სწავლა-განათლებაზე და სხვა საგნებსაც თავის სიტყვაში კუტლერი შეეხო.

სტოლიპინი (მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე). ბატონებო მე ბევრ ხანს არ შეგაწუხებთ. ავდივარ კათედრაზე, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი, რომ მცირედ შევასწორო სათათბიროს წევრის კუტლერის სიტყვა. ბიუჯეტის განხილვის შედეგი ის უნდა იყოს, სინათლე მოეფინოს ბიუჯეტის ისეთ მიჩრდილულ მხარეებს, რომლის გამომზეურებასაც მოელიან ხოლმე სათათბიროსაგან. მე მეგონა ეს კუტლერის სიტყვა ნათელს მოჰფენდა ბიუჯეტის საქმეს კიდევ იმიტომ, რომ მისთვის ბიუროკრატიულ სფერაში დამალული არა იყო რა, რადგან იგი იქ დიდ ხანს მსახურებდა. მე ყურადღება მივაქციე იმის სიტყვის ერთ საყვედურს, სახელდობრ: შინაგან საქმეთა სამინისტრომ 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ ბეჭდვითი სიტყვის მთავარ სამმართველოს უფროსს და იმის თანაშემწეთ ჯამაგირები მოუმატაო. ნახევარი საათით დასვენების დროს ძნელია საჭირო დოკუმენტების დაწვრილებით განხილვა, მაგრამ მე მაინც შემიძლია ვსთქვა, რომ კუტლერის აზრი სიმართლეს არ უდრის. არც უფროსს, არც მისს თანაშემწესთვის ჯამაგირი არ მოჰმატებიათ. ბეჭდვითი საქმის სამართველოს შტატი 1862 წლიდანაა დამტკიცებული და მხოლოდ 8 აგვისტოს 1902 წელს უფროსმა, უმაღლესის ბრძანებით, მიიღო 3000 მანეთი ჯამაგირს ზევით, როგორც სახლის ქირა. ეს ფული „პრავიტელსტვენი ვესტნიკი"-დან ეძლეოდა და ესევე გაუგრძელდა ახალ უფროსსაც 1905 წლის 1 აპრილიდან, ე. ი. მანიფესტის გამოცემაზე ადრე. უფროსს თანაშემწე არა ჰყავს და, მაშასადამე, ჯამაგირი ვისთვის უნდა მიეცათ. (მარჯვენივ ტაში) რადგან ამ უწყების შტატი ძლიერ მცირეა, „პრავიტელსტვენნი ვესტნიკი"-დან მიემატა 150,000 მანეთი წელიწადში. ასე იყო 1902, 1903 და 1904 წლებში. მაგრამ, რადგანაც „პრავ. ვესტ." თანხა სხვა საქმეს მოახმარეს, ეს 150,000 მანეთი 1907 წლის ბიუჯეტში იქმნა შეტანილი. ეს ჩემ დროს არ მომხდარა, მაშინ კუტლერი წევრი იყო მინისტრთა საბჭოსი. ეს საქმე კუტლერს კარგად უნდა სცოდნოდა (სიცილი მარჯვნივ). უნდოდათ ჩემის უწყებისთვის მათრახი გადაეკრათ, მაგრამ მათრახი ცხენის მაგივრად, უნაგირს მოხვდა. (ტაში მარჯვნივ).

სტრუვემ სიხარული გამოსთქვა, ფინანსთა მინისტრის განცხადების გამო, რომ ხარჯების კლასიფიკაცია ადმინისტრატიული აქტია, რომ ბიუჯეტის გვიან წარდგენით დარღვეულ იქმნა სახელმწიფო სათათბიროს საბიუჯეტო უფლებანი და, ამ უფლებათა დახასიათების შემდეგ, განაცხადა, რომ ბიუჯეტის განხილვის დროს სახელმწიფო სათათბიროს 1906 წლის 8 მარტის წესებით ხელ-ფეხი შეკრული აქვსო. ამ წესების ძალით საბიუჯეტო ინიციატივა ხალხის წარმომადგენლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში ეძლევათ, თუ ლაპარაკი ხარჯების მომატებაზე იქნება და არა შემცირებაზე. ის პირები, რომელნიც კადეტების პარტიას ეკუთვნიან, აცხადებენ, რომ 1907 წლის აღწერის გამო უშინაარსო საბიუჯეტო დემონსტრაციებს არ მოახდენენ, რადგან ძალიან კარგად ესმით, რომ ბიუჯეტი პოლიტიკურ ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა. ჩვენ აქ გვისაყვედურეს, მთავრობას ალყა შემოარტყითო, ჩვენ მთავრობას კი არა, ძველ წეს-წყობილებას შემოვარტყით ალყა და ესეც იმიტომ, რომ ამას სახელმწიფო მეურნეობა და ხალხის ინტერესები მოითხოვენ.

შჩერბინმა ბიუჯეტის შედგენის გამო მოიყვანა ისტორიული ცნობები და, კუტლერის აზრების გამეორების შემდეგ, სახალხო სოციალისტების მხრით წინადადება შეიტანა, შეცვლილ იქნას დღევანდელი წესები ხარჯთ-აღრიცხვისა.

ზაიცევმა, რომელსაც მემარჯვენეებმა სიტყვა რამდენჯერმე გააწყვეტინეს, მთავრობის მოქმედება სასტიკ კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა და განაცხადა, რომ სათათბირომ უკუ უნდა აგდოს წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა და შეადგინოს ახალი, ისეთი, რომელიც უნდა შეუფარდდეს ხალხის მოთხოვნილებებსა და საჭიროებებსაო.

5 საათზე თავმჯდომარემ შესწყვიტა კამათი ბიუჯეტის შესახებ.

ტესლენკომ წინადადება შეიტანა, დროის მოსაგებად არჩეული იქმნას სამი კომისია, თანახმად სათათბიროს მოქმედების ხასიათისა, რომელთაც სათათბიროში შეტანილ კანონ-პროექტებს განიხილავენ და შეიმუშავებენ.

მახარაძემ და ალექსინსკიმ სოციალ-დემოკრატების სახელით ითხოვეს, კომისიაში გადაცემამდე განხილულ იქმნას კანონ-პროექტები პიროვნების ხელ-შეუხებლობისა, თანამდებობის პირების პასუხის-მგებლობისა და სარწმუნოების მხრივ არსებულ განსაზღვრათა გაუქმების შესახებ.

სტახოვიჩმა წინადადება შეიტანა ყველა კომისიის წევრთა რიცხვი 33 კაცით იქმნას განსაზღვრული.

პურიშკევიჩმა განაცხადა, სოციალ-დემოკრატები თავიანთ წინადადებებით გვაჩვენებენ, თუ რა თვალით უყურებენ სახელმწიფო სათათბიროს. იმათის აზრით, სათათბირო მასსის გამარევოლიუციონერებელი აუდიტორიააო.

ტესლენკომ თავისი წინადადება დაიცვა.

ეს წინადადება მიღებულ იქმნა. სოციალ-დემოკრატების წინადადება არ მიიღეს. წაიკითხეს მემარჯვენეთა შეკითხვა, რომელიც სახალხო სამინისტროსადმი იყო მიმართული. იგი გადაეცა კომისიას; სხდომა 5 საათსა და 48 წუთზე დაიხურა. შემდეგი სხდომა 22 მარტის დილის 11 საათისთვის დაინიშნა.

---

**სახ. საბჭოს სხდომა.** სახ. საბჭომ ფეხზე ადგომით პატივი სცა გარდაცვალებულ წევრის კლიმოვის ხსოვნას. შემდეგ საბჭომ მოისმინა კომისიის მოხსენება საბჭოს წევრის კუდრიავსკის სამართალში მიცემის და ამისთვის დროებით დათხოვნის შესახებ. მომხსენებელმა თავ. გოლიცინმა მოიყვანა კანონი, რომლის ძალითაც კუდრიავსკი დროებით უნდა დაითხოვონ. კომისიის წევრი გრიმში თანახმა არ იყო კამათის დადგენილებისა. მან მოიყვანა მთელი მუხლები სახ. საბჭოს და სათათბიროს დაკანონების შესახებ და დაამტკიცა, რომ ამა თუ იმ წევრის დროებით დათხოვნის საქმეში საბჭოს დიდი უფლება აქვს მინიჭებული და ამიტომ ამ საქმეს ფორმალურის მხრივ კი არ უნდა გარჩევა, არამედ არსებითად — მორალურ-პოლიტიკურის მხრივ. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რაში სდებენ ბრალს კუდრიავსკს. აბრალებენ, მან 2000 მანეთი მისცა სახალხო მილიციის შესაიარაღებლად. ეს ამბავი კი მოხდა იმ დროს, როცა მთავრობა უძლონო იყო და როცა თვით საზოგადოებამ იკისრა წეს-რიგის დაცვა. კუდრიავსკის დანაშაული ბუნდოვანია: უფლების გადაჭარბებისთვის საჭიროა, რომ ეს უფლება გქონდეს, კუდრიავსკი კი არაფერ სამსახურში არ იყო. კომისია, რომლის წევრადაც იგი იყო არჩეული, ფაქტიურად არ არსებობდა, რადგან გუბერნატორისაგან დამტკიცებული არ იყო. თავ. გოლიცინმა, ერმოლოვმა და შმემანმა მოხსენებას მხარი დაუჭირეს. იუსტიციის მინისტრმა გრიმს პასუხი გასცა და, სხვათა შორის, სთქვა, რომ 1905 წლის ბოლოში მილიციებს რევოლიუციონურის აზრით აარსებდნენო.

კორვინ-მილევსკიმ მოითხოვა მოხსენება ხელ-ახლა კომისიას გარდაეცეს საქმის არსებითად განსახილველად. მილევსკის აზრი უარ-ჰყვეს. მოხსენება კუდრიავსკის დროებით დათხოვნის შესახებ მიიღეს 125 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 23 ხმისა. შემდეგ საბჭომ აკადემიის კურიის არჩევნები დაამტკიცა. მათ შესახებ საჩივარი უყურადღებოდ დასტოვა. ბოლოს საბჭომ, კომისიის მოხსენების წინააღმდეგ კოსტრომის ერობის მიერ არჩეული მარინი დაამტკიცა.

შემდეგი სხდომა 28 მარტს მოხდება.

# ახალი ამბავი

✦ **პოლიტიკური საქმე.** 9 აპრილს ტფ. სამოსამართლო პალატა წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით განიხილავს განჯის სადგურის მოსამსახურეთა საქმეს. ამ მოსამსახურეებს მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედება ჰბრალდებათ. პასუხის გებაში მიცემულია 30-მდე კაცი.

✦ **დათხოვნილ მუშების მიღება.** როგორც ვწერდით გაიფიცა რკინის გზის ტფ. საქონლის სადგურის 250 მუშა. მიზეზი 63 მუშის დათხოვნა და მათ ნაცვლად სხვების მიწვევა იყო. მუშების ანგარიშის გასასწორებლად „რიადჩიკებმა“ რკინის გზის სამართველოდან ფული გაიტანეს იმ პირობით, რომ 20 მარტამდე უკანვე შეეტანათ. რადგან „რიადჩიკებმა“ ასანბაძემ და კვერდიამ ფული აღარ დააბრუნეს, სამართველომ ისინი გადააყენა, გაფიცული და გამორიცხული მუშები უკანვე მიიღო და დროებით საქმის მართვაც მათ დაავალა. რკინის გზის სამართველო შეჰპირდა მუშებს, ამ დღეებში სხვა მოიჯარადრეს მოვიწვევთ და იქვენ წინანდელ პირობებში დარჩებითო.

✦ **ჯარის-კაცთა საქმე.** 17 მარტს კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლომ განიხილა საქმე საარტილერიო ბრიგადის ჯარის კაცებისა მიხაილ ჩენკოსა და კოლგერისა. ამათ ჰბრალდებოდათ მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედება. სასამართლომ მიხეილ ჩენკო გაამართლა, ხოლო კოლგერს გადაუწყვიტა სამუდამოდ ციმბირში გადასახლება.

✦ **დაპატიმრება სამსახურის ასრულების დროს.** ტფ. ქალაქის გამგეობამ გუშინ აცნობა პოლიცმეისტერს, რომ ქალაქის პოლიცია ხშირად აპატიმრებს თვითმართველობის დაწესებულებათა მოხელეებს სამსახურის აღსრულების დროს, რითაც დიდი ზარალი მოსდის ქალაქს, ამიტომ გვაცნობეთ ხოლმე, ვინ და რა მიზეზით დაპატიმრებულ იქმნებაო.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** ვიატკის გუბერნიაში იგზავნებიან: სამის წლით ა. პაირაპეტიანცი და კრ. კარამიანცი; ორის წლით მ. ულინცი და ილია ადამიშვილი. ორ პირველს ძარცვა-გლეჯას აბრალებენ, უკანასკნელთ რევოლვერი უნახეს. ტფ. გუბერნიიდან ეტაპით იგზავნებიან: გიგოლა და ბასილა მთიულიშვილები, ალექსი სოხაძე, სეფე მაკიაშვილი, დიმიტრი იმნაძე, ამირან ბერეშვილი, ალექსანდრე გობერიძე და იოსებ ბალაშვილი. ორ პირველს აბრალებენ ნაქურდალის შენახვას, უკანასკნელთ—გვნეს საკანდიტეროში გაფიცვის მოხდენას

✦ **ტუსაღების ნახვა.** ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, ნათესავებსა და ნაცნობებს ნება მიეცათ, საგუბერნიო საპატიმროში სისხლის სამართლის ტუსაღები კვირაში ორჯელ ნახონ ხოლმე.

✦ **ბოიკოტი.** მოსამ. კავშირის მე-5 რაიონის ბიურო აცხადებს: „ტფილისის მოსამსახურეთა კავშირის მეხუთე რაიონი ბოიკოტს უცხადებს სარდაფის პატრონს სარქის მაილოვს (კახეთის ქუჩაზე), რომელიც ურცხვად არღვევს კარგი ხნის მოპოვებულ ჩვენ პირობებს და ყურადღებას არ აქცევს ჩვენს დადგენილებას. მოუწოდებთ ამხანაგებს და მივმართავთ კეთილ სინდისიერ მოქალაქეებს, მხარი დაუჭირონ ამ ჩვენ დადგენილებას“.

✦ 21 მარტს, საღამოს 11 საათზედ, პოლიციის მოხელეებმა დააპატიმრეს ეგზანის გუბერნიის მცხოვრები დიმიტრი ტოგულოვი და ქუთაისისა ანტიმოზ ახალაძე, რომელთაც, პოლიციის ცნობებით, რკინის გზის უფროსის თანაშემწისათვის უსახელო ბარათი მიუგზავნიათ და მუქარით 1000 მან. მოუთხოვიათ. ახალაძე და ტოგულოვი იმ დროს დაუპატიმრებიათ, როცა მათ წერილი მიუტანიათ.

✦ ტფ. ქალაქის გამგეობამ განიზრახა ქალაქის შემნახველ-გამსესხებელ კასის მოქმედების განახლება. გამგეობამ მისწერა თვითმმართველობის დაწესებულებებს, თითო წარმომადგენელი დანიშნონ განსაკუთრებულ კომისიაში, რომელსაც ეს საქმე დაევალა.

✦ ისარ-ში ახალ ამბად დაბეჭდილი, ვითომ „ნადეჟდის“ აგენტს ბ-ნ სულხანოვს ვიღაცა უცნობმა ორჯელ თავში ჯოხი დაჰკრა, სულხანოვი წაიქცა, უცნობი დაემუქრა, ეხლა ეს გეყოფა და თუ ტფილისიდან არ წასულხარ, სიცოცხლეს გამოგასალმებო. ეს ცნობა სიმართლეს მოკლებულია და სულხანოვისათვის ჯოხი არავის არ დაურტყამს და არც არავინ დამუქრებია.

✦ როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ამას წინად ტფ. ქალაქის საბჭომ ტრამვაის საზოგადოება 10,000 მან. დააჯარიმა, რადგან 1905 წელს ტრამვაი თითქმის ერთს თვეზე მეტს არ მუშაობდა. საბჭოს დადგენილება განიხილა საგუბერნიო ქალაქის საქმეთა საკრებულომ. გუშინ საკრებულო შეეკითხა გამგეობას, აცნობოს აღნიშნულ წელს რამდენი მოთხოვნილება წარუდგინეს ტრამვაის მოსამსახურეებმა დირექტორს და რამდენი მოთხოვნილება იქმნა დაკმაყოფილებული.

✦ გვთხოვენ დავბეჭდოთ: მეორე წელიწადია, რაც სახლიდან წავიდა ლუკა წიქარიძე და არაფერი ცნობა მისი მშობლებმა არ იციან. სთხოვენ მნახველთ, აცნობონ, ადრესი: ტფ. ნიკოლოზის ქუჩა № 6.

✦ 24 მარტისთვის დანიშნულია საზოგადო კრება ტფ. მოქალაქეთა საზოგადოების რწმუნებულებისა, რომელთაც უნდა განიხილონ განცხადება მამასახლისის ს. ა. დანდუროვისა სამსახურის დანებების შესახებ და აგრეთვე წინადადება გუბერნატორისა მამასახლისის ჯამაგირის დანიშვნის შესახებ.

**შეცდომის გასწორება.** „ისარის“ მე-63 ნომერში „ქანანოვიადა“-ში შეცდომით დაბეჭდილია (მეორე სვეტი, მე 20 სტრიქონი ქვემოდან): „მაშინ როდესაც დასაფლავების ფული უკვე წაღებული იყო“, უნდა იყოს: „იწერდა ჯამაგირს მკვდრის შემდეგ, მაშინაც, როცა ეძლეოდათ დასაფლავების ფული“.

იმავე ნომერში „პროვინციაში“ თელავიდან მოწერილ ამბის შემდეგ მოთავსებულია კორესპონდენცია. გამოტოვებულია სათაური „ოზურგეთი“.

# ქუთაისის ქრონიკა

✦ ქალაქის საბჭოს დადგენილების თანახმად, გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ ქალაქს ნება მიეცეს რკინის გზით შემოტანილ და გატანილ საქონელზე უკვე დაწესებულ საფუთო გადასახადით ისარგებლოს ათი წლის განმავლობაში იმისდა მიუხედავად, თუ რამდენი შემოსავალი ექნება ქალაქს ამ გადასახადიდან. ამდენ ხანს ქალაქს ნება ჰქონდა დართული მხოლოდ ხუთი წლის განმავლობაში ესარგებლებია ხსენებულ გადასახადით ვაგზლისაკენ მიმავალ ქუჩების შესაკეთებლად, მხოლოდ ისე კი, რომ 14,000 მანეთზე მეტი არ შეეგროვებინა.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, რომ იმ ფულით, რომელიც მან ამ მოკლე ხანში უნდა ისესხოს, დააკმაყოფილოს საბინაო გადასახადით კურინსკი პოლკის აფიცრები. ეს აფიცრები და მთელი კურინსკი პოლკი წელიწად-ნახევარია ქუთაისიდან ბაქოში არიან გადაყვანილი, სადაც ისინი ბინის ფულსაც იღებენ; მიუხედავად ამისა ქუთაისის ქალაქის გამგეობასაც აიძულებენ, რომ აძლიოს მათ ბინის ფული. ქალაქის გამგეობამ უპასუხა ბ-ნს გუბერნატორს, რომ მას არ შეუძლია ხსენებულ სესხიდან დააკმაყოფილოს აფიცრები, რადგან ამ ფულს ქალაქის საბჭოს მიერ სრულიად სხვა დანიშნულება აქვს მიცემულიო.

✦ ქალაქის განათების მეთვალყურემ განცხადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში, რომლითაც აცნობებს მას, საალყე წესების შემოღების გამო მეფანრეები კაზაკების შიშით ღამით ქუჩებში ვერ გამოდიან ფანრების ასანთებადო; ამისათვის სთხოვს გამგეობას იშუამდგომლოს გენერალ-გუბერნატორთან, რომ მეფანრეებს მიეცეთ ღამით სასიარულო ბილეთები.

საალყე წესების შემოღება საზოგადოდ დიდ ზარალს აძლევს ქალაქის მცხოვრებლებს, ისე ქალაქის გამგეობას; უკანასკნელს, სხვათა შორის, ქალაქის თეატრიდან თითქმის ყოველ დღიურად ეკარგება 100 მანეთამდის; დიდი შემოსავალი აკლდება ხიდებიდან, აფთიაქიდან და სხ.

✦ ცეცხლის მქრობელ რაზმის მოსამსახურეებს საჩივარი შეუტანიათ ქალაქის გამგეობაში თავის უფროსზე (ბრანდმეისტერზე); ბრალსა სდებენ, რომ ის იპარავს ქალაქის მიერ ცხენებისათვის გადადებულ სიმინდსა და თივას, რის გამო ცხენები მშივრები რჩებიანო. მოსამსახურეები სთხოვენ გამგეობას, რომ გამოიძიოს ეს საქმე და დასაჯოს ბრანდმეისტერი.

✦ ქუთაისის მეეტლეებს გუბერნატორთან განუსაჩივრებიათ ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომლითაც უყურადღებოდ დატოვებულ იქმნა მათი თხოვნა ცხენებზე დაწესებულ გადასახადის შემცირების შესახებ.

# პატარა ფელეტონი

## წყალ-წყალა დემოკრატიზმი

წყალ-ნარევ რძით ერთმა უცხოეთელმა მოვაჭრემ ვაჭრობა შესწყვიტა, მოგებულ სიმდიდრეს თავი მოუყარა, პატარა ტომარა ოქროებით აავსო და სამშობლოსაკენ გაუდგა გემით. მგზავრობის პირველ დღესვე წყნარი მზიანი დარი დადგა და ყველა მგზავრები ზოგნი მაღლა გემის ბაქანზე ისხდნენ და ზოგნიც სეირნობდნენ. ერთ მგზავრს თან ეშმაკი და ცქვიტი მაიმუნი ჰყავდა, რომელიც ჩუმად მიეპარა ჩვენ ნაცნობ ვაჭარს, ოქროებით გატენილი პატარა ტომარა ხელიდან გამოსტაცა, თვალის დახამხამების უმალ ამ ტომრით გემის ანძის კენწეროზე ავარდა და იქ შემდეგ უცნაურ ოინს შეუდგა: ტომარას თავი მოხსნა, ერთი ოქრო ამოიღო და ზღვაში გადააგდო, შემდეგ მეორე ოქრო ამოიღო და გემის ბაქანზე ჩამოაგდო, და ასე განაგრძობდა ქცევას: ნახევარ თანხას ზღვაში და ნახევარს—დაბლა გემზე ჰყრიდა.

ელდა-ნაცემი ვაჭარი, რასაკვირველია, იმ წამსვე გემის ანძასთან მიიჭრა, იმის კენწეროზე ჩამომჯდარ მაიმუნს უმწეოდ ყურება დაუწყო და არ იცოდა საიდან რა მოეგვარებინა. ბოლოს უეცრად სახე გაუნათლდა, მუხლებზე დაეშვა და შემდეგი სიტყვებით მიმართა ზეცას: დაილოცოს ღვთის სამართალი! მაიმუნის სახით ეს ნამდვილი გუ[...]თა-მხილავი ანგელოზი გამომეცხადა: წყლით მოგებულ ოქროებს წყალში აგდებს, რძით მოგებულს კი მე მიბრუნებსო.

უმრავლეს დღევანდელ მოქადაგეთა მიერ ხალხში გასაღებული აზრები და მოპოებული გავლენა რომ ფულად ვაქციოთ, უეჭველია თითქმის სავსებით წყალში გადასაყრელი იქნება, რადგან არა ნოყიერი, არამედ წყალ-წყალა დემოკრატიზმით არის შეძენილი.

**ი. ნაკაშიძე.**

# მუშების ცხოვრება

**დადგენილება.** ტფილისის მოსამსახურეთა კავშირის მეხუთე რაიონის დადგენილება ღვინით მოვაჭრე არტემ კუზანოვისა და მის მოსამსახურე შაქრო გაბიტაშვილის შესახებ: „ვიღებთ-რა მხედველობაში, 1). რომ არტემ კუზანოვმა გააბრიყვა და ნაწილში აიყვანა მოსამსახურე შაქრო გაბიტაშვილი, რომელიც დადებულ ხელწერილის ძალით იძულებულია იმუშაოს მთელი დღე და ასეთ შრომაში მას რჩება მხოლოდ ერთი მეოთხედი, დანარჩენი $^{3}/_{4}$ კი კუზანოვისაა; 2. რომ დღეს კუზანოვს, როგორც შეძლებულ პირს, ყოველ დროს შეუძლია, თუ ამას მოისურვებს, შაქრო გაბიტაშვილი ქუჩაში გაისტუმროს და ხელცარიელი დასტოვოს; 3. რომ ასეთ ოინებს სხვა ხაზეინებმაც არ მიმართონ და შეგნებული ჩვენი ამხანაგები შეცდომაში არ შეიყვანონ; 4. რომ ჩვენ მოვთხოვეთ კუზანოვს და შ. გაბიტაშვილს გაეუქმებიათ ურთიერთ შორის დადებული ხელწერილი და მოსამსახურე შაქროს ემუშავნა თანახმად მოპოვებულ პირობებისა, მათ ამას ყურადღება არ მიაქციეს და სცდილობენ მის ურცხვად დარღვევას, ამისათვის მოსამსახურეთა კავშირის მეხუთე რაიონი ბოიკოტს უცხადებს, არტემ კუზანოვს, რისთვისაც მოუწოდებს ყველა პროფესიის ამხანაგებს და კეთილ სინდისიერ მოქალაქეებს, არ აიღონ არტემ კუზანოვის ღვინო და მხარი დაუჭირონ ამ ჩვენ დადგენილებას. ყოფილ ამხანაგს შაქრო გაბიტაშვილს გამოეცხადოს ამხანაგებიდან ზიზღი და ბოიკოტი.

**ტფილისის მოსამსახურეთა კავშირის მეხუთე რაიონის ბიურო.**

# პროვინციის ცხოვრება

**ზუგდიდი.** დაახლოვებით სამი წელიწადია მას აქეთ, რაც წალენჯიხაში დაარსდა ამხანაგობა იმ აზრით, რომ სოფლის მუშა ხალხის ნაწარმოებისათვის ბაზარი მოეპოვებინა და ამით დაეხსნა ხარჩებისა და ვაჭრობისაგან მუშა ხალხი. ამხანაგობის მოქმედება პირველ ხანებში შეეხო აბრეშუმის პარკის დაბინავებას. საქმის მეთაურმა იაკობ შანავამ მცირე ხანში ისეთი ნდობა დაიმსახურა ხალხში, რომ წარსულ სეზონში რამდენმამე სოფელმა (ობუჯი, ჯგალი, მუხური, ლეწურწუმე, წალენჯიხა, კახათი, ცაიში, ნაკოსია და სხ.) თავისი პარკი ჩააბარა უფასოდ ამხანაგობას იმ იმედით, რომ ამხანაგობა პარკს გახმობის შემდეგ, შესაფერსა და ხალხისთვის სასარგებლო ბაზარს მოუპოვებდა. ბ-მა იაკობ შანავამ მშრომელ ხალხს იმედი არ გაუმტყუნა და შარშანდელი მოსავალი, ისე როგორც წინა წლებისა, დააბინავა 16—18 მან. ფუთი იმ დროს, როცა წინა წლებში ფუთი პარკი 10—12 მანეთს არ აცდებოდა.

ასეთმა მოქმედებამ ამხანაგობისა და იმის მეთაურობისამ თავისი ნაყოფი გამოიღო; დაიმსახურა ხალხის ნდობა, და ვისაც-კი რამე ჰქონდა ბაზარში გასატანი, ამხანაგობასთან მიჰქონდა იმ იმედით, რომ იგი მოუპოვებდა საუკეთესო ბაზარს. ამხანაგობამ თავის მხრით გააფართოვა მოქმედება და პარკის გარდა სოფლის წარმოების სხვა დარგების ვაჭრობასაც შეუდგა. არ გასულა დიდი ხანი, რომ თხილის, დაფნის ფოთლის ვაჭრობა ამხანაგობის ხელში გადავიდა. დაფნის ფოთოლი, რომლის მოსავალი სენაკისა და ზუგდიდის მაზრაში უდრის 45,000 ფუთს, იმვიათად გაყიდულა რვა აბაზზე მეტად; წრეულს ამხანაგობის მეცადინეობით გაიყიდება არა ნაკლებ სამი მანეთისა. რასაკვირველია, ის ვაჭრები, რომელიც პარკის, თხილის და დაფნის ფოთლის ვაჭრობას მისდევდნენ, ამხანაგობის მოქმედებას სიამოვნებით არ შეჰხვდებოდნენ. პირველი უკმაყოფილება მათი იმაში გამოიხატა, რომ წარსული წლის 6 დეკემბერს ცეცხლი წაუკიდეს ამხანაგობის სულის ჩამდგმელის იაკობ შანავას სახლს და მთლად გადაბუგეს. ბ-მა შანავამ კარგად იცოდა რომელ წრეში ჰყავდა მას მტერი, მაგრამ ხელის მოსაკიდებელი არავინ იყო და საქმე მიატოვა. პოლიციამ-კი, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ მიაგნო ბოროტ-განმზრახველთ. ასე მიდიოდა საქმე. ბ-ნი შანავა მეტის ენერგიით შეუდგა საქვეყნო საქმის წარმოებას — ორიოდე მცოდნე პირის დახმარებით შეადგინა ამხანაგობის წესდების პროექტი, რომელსაც მრავალმა ხალხმა მოაწერა ხელი. ამ დღეებში ამ პროექტს გზავნის, საცა ჯერ არს, დასამტკიცებლად იმ აზრით, რომ უფრო მკვიდრი ნიადაგი მოუპოვოს ამხანაგობას. მაგრამ საერთო საქმის მტერნი, როგორცა სჩანს, არა ცხრებიან: მარტის პირველ რიცხვებში ბ-მა იაკობ შანავამ მიიღო შემდეგის შინაარსის უსახელო წერილი, რომელსაც ვბეჭდავთ შეუცვლელად: „იაკო შანავა! რაც დეკემბერთა ხომ იცი და ამისთვის გეუბნები მე ერთი კაცი, რომ ვიცი საქმის შინაარსი. შენი გადარჩენა აწი შეიძლება ხოლო უნდა მიატოვო ის რასაც შენი ამხანაგები არა შობა არც მეზობლები და არც ძმანები. ამასთან ჩვეულება მიატოვე და დადეგ შენი დუქანში და ივაჭრე, მხოლოდ სავაჭროთ. სუ მიჯალ ქუთაისის გუბერნიის ქალაქებში, თორემ შენზე მზად არიან ქუთაისში, ფოთში, სენაკში და ბათუმში და თუ არა აჯერა წამობძანდი და ნახავ. გარდა ამისა განსაკუთრებით მიატოვე პარკის ვაჭრობა და დაფის (იგულისხმე დაფნის ფოთოლი) სხვა ამ წერილის მიღებისათანავე გამოაცხადე საზოგადოში რო მივატოვე მე პარკის და დაფის ვაჭრობა. ასე ქენი და ეს წერილი თუ უჩვენე და გამოახილე, მაშინ მეც მივიღებ საუკედურს, მარა შენც გამოგესალმები წუთი სოფელს.“

ამ წერილს კომენტარიები და განმარტებანი არ ეჭირვება — აშკარაა, ჩარჩები და ვაჭრები ცხადად ჰხედავენ, რომ ამხანაგობა მათ, დღეს თუ არა ხვალ, მშრალზე დასვამს და ჰგონიათ, რომ მუქარით თავიდან მოიცილებენ საქმის მეთაურს, უიმისოდ კი იმედი აქვთ, საქმე დაიღუპება. მაგრამ „მუქარისტებს“ ანგარიში გაუმტყუნდათ და ბ-ნი შანავა მათ ვერ შეაშინეს: იგი კვლავ მზად არის ემსახუროს მისგანვე გამოწვეულ საქვეყნო საქმეს.

## ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ.

**(წერილი რედაქციის მიმართ)**

სოჭის განყოფილების, სოფელ „პლასტუნკიდან“ არიან მრავალი დაჭერილნი, რომლებიც სხედან სოფლის სატუსაღოში; ტუსაღთა შორის არიან რუსები და ქართველებიც. წარმოიდგინეთ თქვენ, როცა მოძრაობა სდუღდა და გადადუღდა, მაშინ ორივენი (ქართველები და რუსები) ერთად იყვნენ, დღეს კი უმეტესობა რუსი ტუსაღებისა და აგრეთვე უმრავლესი მცხოვრები რუსები სოჭის ოლქისა, იმართლებენ თავს მით, რომ ჩვენ [...] საწინააღმდეგო მოძრაობაში [...] მიგვიღია [...] მონაწილეობა, უფრო [...] ქართველებმა და მაგნი არიან დასჯის ღირსნი და არა ჩვენო. გამომძიებლიც ამაზე ამყარებს „პოსტანოვლენიეში“ დასკვნას.

საქმე ტუსაღებისა უნდა გაირჩეს ამ მოკლე ხანში. ტუსაღების დამცველებათ გამოდიან გამოცდილი რუსის ვექილები, ჩვენ ქართველი ტუსაღები მაინც ობლათ დავრჩებით, რადგან ვერ შევძლებთ სავსებით გადავცეთ რუსის ვექილებს ჩვენი ჭირვარამი, რუსული ენის უცოდნობის გამო; ამისათვის მივმართავთ ჩვენ აქაური ქართველნი ტუსაღები პატივცემულ ქართველ ვექილებს, რომ მოგვაქციონ ყურადღება.

სოჭის საპყრობილეში მყოფ ქართველ ტუსაღთა მინდობილობით დროებით განთავისუფლებული ტუსაღი სოჭის ციხიდან.

**კოლია ოხიძე.**

## პასუხად არ. ჯაჯანაშვილს.

ნეტა კიდევ დიდ ხანს ვიქნებით
დავთრებ დაკარგულებიო?..

**(წერილი რედაქციის მიმართ)**

გაზეთ «ისარში» (№ 56) დაბეჭდილია წერილი არ. ჯაჯანაშვილისა, რომელიც დიდის რიხით, მაგრამ უთავბოლოთ და უადგილოთ ეხება ჩემს მოხსენებას (იხ. «ზაკავკაზიეს» მე-55 ნომერი). საჭიროდ ვხედავ მოვიყვანო ის ადგილები ჩემის მოხსენებისა, რომლებიც სრულიად დამახინჯებულია ბ-ნ ჯაჯანაშვილის მიერ, ვგონებ უცოდინარობის გამო, და მკითხველმა თვითონვე დასდოს მსჯავრი.

მე მოხსენებაში მაქვს: «...რუსის მთავრობის აზრით, ყველა მიღებულ წყალობისათვის ქართველებმა მხოლოდ დიდი უმადურობა გამოიჩინეს; რუსეთმა საქართველო აუცილებელ დაღუპვას გადაარჩინა და მისგან მადლობის მაგიერ რადაც უსაზღვრო სიძულვილი დაიმსახურა.—ქება-დიდების მაგიერ—პროკლამაციები და ყუმბარები მიიღო. კმარა ქართველების ასეთი განებივრება—რუსეთმა აწ ძირიანად უნდა შესცვალოს თავისი პოლიტიკა და კავკასიაში სხვა ერებს დაეყრდნოს. ქართველების ასეთი საწინააღმდეგო პოლიტიკის ნიშნები უკვე თვალწინ გვიდგია და იგი ახლო მომავალში მრავალ გაუსწორებელ უბედურებას გვიქადის, ქართველებს მრავალ ახალ მსხვერპლის შეწირვას უმზადებს. მის უსამართლო გავლენით დამშვიდების სანეტარო დღე სადღაც შორს, წყვდიადში ჰქრება. ამ პოლიტიკას შეუძლიან რევოლიუციის პირში ჩააგდოს ყველა ქართველი და ჩვენი მრავალ-ტანჯული სამშობლო სისხლის მორევში გადაისროლოს, რადგან ჩვენ ჩვენივე სამშობლოს საზღვრებში უფლება გვაქვს ჩვენი თავი პატრონად დავსახოთ, უფლება გვაქვს მოვითხოვოთ, რომ რუსეთის დამოკიდებულება ჩვენთან აქ მეგობრობისა და ნდობის საფუძველზე აიგოს. ამ ახალ შეცდომებისაგან რუსეთის მთავრობის გაფრთხილება, თანამედროვე მოვლენათა ნამდვილ მიზეზების აღნიშვნა —ქართველების მიზანია, იგი ქართველ ინტელიგენციის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს».

ბ. არ. ჯაჯანაშვილი კი ამ ადგილს შემდეგ ნაირად განმარტებს: « თ. ამირეჯიბს ძალიან გული ეწვის ქართველ ხალხისათვის, ამასთანავე ძალიან გაკვირვებულია, რომ ყოველთვის მშვიდობიანი და რუსეთის ბიუროკრატიის ვითომდა ყურმოჭრილი ყმა, ქართველი ხალხი, მშვიდობიან პოლიტიკას ასცდა და თავის მხსნელს, ქართველ ხალხის ადამიანურ უფლების გამქელავს ბიუროკრატებს პროკლამაციებითა და ყუმბარებით გაუმასპინძლდა.»

მე მაქვს: «რუსეთში დასახლებული ყველა ერი სახელმწიფო სათათბიროში თავის ინტელიგენციის სახით იქმნება წარმოდგენილი, როგორც ცალკე ეროვნება, საკუთარ მოთხოვნილებათა მქონე, თავისებურ ეროვნულ სახის პატრონი,—მხოლოდ ერთად-ერთი საქართველოა ბედისაგან დაწყევლილი, მხოლოდ საქართველომ ისევე აირჩია სრულიად—რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის უვიცი წევრები, რომელნიც ვერაფერს ვერ აუხსნიან რუსეთის მთავრობას, ვერაფერს ვერ გააგებინებენ რუსეთის ერს და თავიანთ მოღვაწეობით თავის სამშობლო მხარეს ცრემლს ვერ მოხოცავენ და ვერც ერთ წვეთ სისხლის დაღვრას ვერ ააცილებენ... მაშასადამე, საჭიროა ქართველ ინტელიგენციამ დაუმტკიცოს ხალხს, რომ მხოლოდ იგი არის მის ინტერესების ნამდვილი დამცველი»...

ბ. არ. ჯაჯანაშვილი კი გაიძახის: «თ. ამირეჯიბი აცხადებს, რომ სოციალ-დემოკრატები ქართველ ხალხის გაჭირვებასა და ტანჯვა-ვაებას რუსეთის მთავრობას იოტის ოდენასაც ვერ გააცნობენ და ქართველ ხალხის გაჭირვების აღნუსხვა და საჯაროდ გამოცხადება უნდა იკისროს

თავად-აზნაურობამ, რომელიც წმინდა წოდებრივ ნიადაგზე არასოდეს არა მდგარა და რომელსაც საუცხოვოდ შეუძლიან ამისთანა საქმეს გაუძღვესო.»

მე ვამბობ: «თავ-აზნაურობა უნდა ეცადოს, დაარღვიოს ის ცრუ შეხედულება, რომელიც მას მხოლოდ წოდებრივ დაწესებულებად ისახავს, პრესსამ უნდა გააფრთხილოს მთავრობა რეაქციონურ მოქმედებისაგან, მხნედ უნდა ებრძოლოს იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც განაპირა ქვეყნების დაჩაგვრას ცდილობენ»...

ბ. ჯაჯანაშვილი ამაზედ ამბობს: «თ. ამირეჯიბი არსებულ მთავრობის მოქმედებას იწონებს და ხალხს ბიუროკრატიის ერთგულებას ურჩევს»...

მე ვწერ: «... განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება იქმნეს შემოღებული მიწების სავალდებულო ჩამორთმევა მესაკუთრეთაგან შესაფერის ხასყიდლით,—ახლად არსებულ ექსპროპრიაციის დაგვარად»...

ამაზე ბ. ჯაჯანაშვილი რასაკვირველია ხმასაც არ იღებს და მკითხველებს უწყობს «...თ. ამირეჯიბი ამაყათ აცხადებს, კერძო საკუთრება რუსეთისა და ჩვენი ცხოვრების ქვა-კუთხედს უნდა შეადგენდეს»...

მე ვწერ: «ქართველ ერის ისტორიულ როლის ახსნა და საქართველოს რუსეთთან შემაერთებელ აქტების იურიდიულ მნიშვნელობის განმარტება—ასეთია უახლოესი, უმთავრესი მიზანი გაზეთისა, რომელიც უნდა სცდილობდეს იმ აზრის დაცვას, რომ განსაკუთრებულის გულის ყურით უნდა მოისმინონ ხოლმე ხმა საქართველოსი, რომელიც თავის ნებით შეუკავშირდა რუსეთს»...

ბ. არ. ჯაჯანაშვილი: «თ. ამირეჯიბი ყოველთვის მთავრობის და «ჭეშმარიტ-რუსთა» თვალსაზრისით გვესაუბრება და მალიან ეშინიან, მთავრობამ «შეურიგებელი» პოლიტიკა არ დამწამოს და სხვა»...

დასასრულ ჯაჯანაშვილი შემდეგ დარიგებას მაძლევს:... «როდესაც ხალხი ეკკლესიის სახელმწიფოსაგან განშორებას თხოულობს, თქვენ მას ავტოკეფალიას ნუ აწოდებთ, ბრწყინვალე თავადო!..» ავტოკეფალია თურმე ეკკლესიის სახელმწიფოსაგან განშორებას ხელს უშლის!.. თავად-აზნაურობამ შეერთების ასი წელი უდღესასწაულაო, თავ-აზნაურობამ «შავი რაზმები» შეადგინაო, გაიძახის ბ. ჯაჯანაშვილი და სრულიად ავიწყდება, რომ ამ ნაირად მთელს წოდებას,—თავად-აზნაურობის საუკეთესო ნაწილსაც-კი,—შეურაცჰყოფს...

ამის შემდეგ მე რა მეთქმის, ჩემო მკითხველო?

მე ჩემის მხრით უნდა მოგახსენოთ, რომ ამის შემდეგ არავითარი სურვილი არა მაქვს და არც დრო მაძლევს ნებას, არ. ჯაჯანაშვილს ვეკამათო. მომავალ მე იმის წერილებს შევეხები მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებითად დაიწყებს მსჯელობას და შეეხება საკამათო საგნებს.

**თ. გ. ამირეჯიბი.**

# რუსეთი

**სამხედრო-საველე სასამართლოები.** სამხედრო და შინაგან საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლებს თათბირი ჰქონდათ სამხედრო-საველე სასამართლოების მოქმედების შემცირების შესახებ. დღევანდელი წესით ზოგიერთი გენერალ-გუბერნატორები მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სტოლიპინისაგან სრულებით დამოუკიდებელნი არიან და ახალი ზომის შემოსაღებად მმართველთა შორის შეთანხმება არის საჭირო. მთავრობის წარმომადგენელთა შორის ცხარე კამათი ატეხილა ამის გამო და ბოლოს შეთანხმებულან და ადგილობრივ ადმინისტრაციის მეთაურებისათვის რაღაც განკარგულება გაუგზავნიათ. ხმებია, რომ სამხედრო სასამართლოებში მიცემა და სიკვდილით დასჯის დამტკიცება დღეიდან პეტერბურგზე იქნება დამოკიდებულიო.

✦ **პოლიტიკური ტუსაღები.** 14 მარტს პეტერბურგიდან გაგზავნეს აღმოსავლეთ ციმბირში 500 პოლიტიკური ტუსაღი.

✦ **კრასკოვსკისა და პოლოვნევის დატუსაღება.** მკითხველებმა უკვე იციან, რომ გერცენშტეინის მკვლელები ფინლიანდიაში საქმის განხილვის დროს საზღვარ-გარედ გაიპარნენ. ამ ჟამად ჰუნგრეთის დედა ქალაქ ბუდა-პესტიდან იწერებიან, რომ იქ დაუტუსაღებიათ ვიღაც საეჭვო ორი კაცი, ტომით რუსები, რომლებთაც იუშკევიჩ-კრასკოვსკისა და პოლოვნევის პასპორტები ჰქონიათ. დაჭერილები გამოტეხილან, გერცენშტეინის მკვლელები ვართო. ბუდა-პესტის სატუსაღოს ადმინისტრაციამ გამოაცხადა, თუ რუსეთის მთავრობა მოგვთხოვს, ტუსაღებს გადავცემთ, თუ არა და ჩვენი სახელმწიფოს საზღვრებიდან განვდევნითო.

✦ **არაჩვეულებრივი ტუსაღები.** 15 მარტს პეტერბურგს გაუგზავნიათ ვარშავიდან ასი არაჩვეულებრივი პოლიტიკური ტუსაღი: ვარშავის „ოხრანი“ განყოფილების უფროსის თანაშემწე და იმისი ცოლი.

✦ **საერო განათლების სამინისტროს განკარგულება.** მთავრობას ცნობები მიუღია თავის მოხელეებისაგან, რომ საშუალო და დაბალ სასწავლებლებში სახალხო კითხვები იმართება, მოწაფეები ხალხს ეცნობიან და მავნე მიმართულებას ადგებიანო. ამის გამო საერო განათლების სამინისტრომ მიმართა განკარგულებით თავის მოხელეებს, სასწავლებლებში სახალხო ლექციების გამართვა შეამცირეთო.

✦ **მთავრობა იოლოსის მოკვლის შესახებ.** მინისტრთა საბჭოს თათბირი ჰქონია „რუსკ. ვედ“. რედაქტორის მოკვლის შესახებ და დაუდგენია ამ საქმის ენერგიულ გამოძიებას შეუდგეს, მოსთხოვოს მოსკოვის ადმინისტრაციას მკვლელობის შესახებ ვრცელი მოხსენება, რომლის მიღების შემდეგ გადასწყვეტს როგორ ებრძოლოს მემარჯვენეების ტერორს.

✦ **სამხედრო წესები პოლონეთში.** შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობები მიუღია, პოლონეთში წესიერება დამყარდა და ამ ჟამად შესაძლებელია სამხედრო წესების გაუქმებაო. სამინისტროს შეკითხვით მიუმართავს პოლონეთის გენერალ-გუბერნატორ სკალონისათვის და გადაჭრილი პასუხი მიუღია, პოლონეთში სამხედრო წესები უნდა დაცულ იქმნასო.

✦ **პობედონოსცევის გავლენა.** შემდეგი საყურადღებო ფაქტი ამტკიცებს, თუ რა ძლიერი გავლენა ჰქონია განსვენებულ პობედონოსცევს მთავრობის წრეებზე. როცა სასულიერო კონსისტორიამ მღვდლის პეტროვის დასჯა გადასწყვიტა, უკანასკნელმა თავისი საქმე სინოდში განასაჩივრა და სთხოვდა სხვათა შორის ნება მიეცათ მისთვის, როგორც არჩეულ დეპუტატისათვის, სათათბიროს სხდომებს დასწრებოდა. სინოდს თათბირი ჰქონია და გადაუწყვეტია პეტროვის თხოვნა შეესრულებინა. როცა ეს პობედონოსცევს გაუგია, მიტროპოლიტ-ანტონისათვის წერილი გაუგზავნია, პეტროვს სათათბიროში დასწრების ნებას ნუ მისცემთ; ხალხი იმას იცნობს, და იმისი სიტყვები გლეხობას აღელვებს. სინოდიც პობედონოსცევს დაჰმორჩილებია და საჩქაროდ გადაუსახლებია პეტროვი ჩერემენეცის მონასტერში.

✦ **საიდუმლო ჯვარი.** ამ ბოლო დროს რუსთა კავშირის გაზეთ „რუსკ. ზნ.“-ში რაღაც საიდუმლო ჯვარი იბეჭდება, რომელსაც არავითარი ახსნა არ მიუძღვის. „პეტერბ. გაზ.“-ის ერთმა თანამშრომელმა მიმართა ამის გამო რუსთა კავშირის თავმჯდომარის ამხანაგს პურიშკევიჩს და ამ საიდუმლო ნიშნის ახსნა სთხოვა. პურიშკევიჩმა უპასუხა, ეხლა ვერაფერს ვერ გეტყვით, ათი დღის შემდეგ კი ყველაფერს გაიგებთ. ამ ჯვარით ჩვენ საიდუმლო განკარგულებას ვაძლევთ მთელი რუსეთის პროვინციებში ჩვენი კავშირის 800 განყოფილებას, რომელიც უნდა შესრულებულ იქნასო.

## წერილი რედაქციის მიმართ

ხაშურისა და მის ახლო-მახლო, როგორც ჩემმა ნათესავებმა და ნაცნობებმა გადმომცეს, ვიღაცეებს შემაძრწუნებელი ჭორი გაუვრცელებიათ ჩემზე. ამბობენ თურმე, რომ მე დამებეზღებინოს სოფ. ჭალას დუქანში მყოფი პავლე ლ—ძე ადგილობრივ ბოქაულთან, თან დაწვრილებით ასწერენ თურმე ამ საქმის გარემოებათ. თქვენის გაზეთის საშვალებით, ნება მომეცით ბ-ნო რედაქტორო, საქვეყნოდ დავგმო ამ ჭორის გამავრცელებელნი. მე ამის ჩამდენი არა ვარ და ფიქრადაც არ მომსვლია; ერთი წელიწადია იმ დუქანში ფეხიც არ შემიდგამს და არც არაფერი ვიცოდი. მივმართავ უცნობ ჩემ ბრალმდებელთ—სამედიატორო სამართალში გამომიწვიონ და დაამტკიცონ თავის ბრალდების სიმართლე; წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები სხვა გზას მივმართო ჩემის სახელის დასაცველად.

**მიხ. ფ. ყიფიანი.**

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 მარტი.

**თეირანი.** როცა მეშედში გაიგეს, რომ საბზევარში ბრბომ რუსის ქვეშევრდომი მოჰკლაო, იქითკენ დაუყონებლივ გაემართა მეშედის რუსის საგენერალო საელჩოს მდივანი გირსი 25 კაზაკით. გირსი მივიდა საბზევარში, დაიარა ქალაქი და დარწმუნდა, რომ რუსის ქვეშევრდომთა კონტორები და საწყობები დაზიანებული არ არის. ქალაქში გარეგნულად მშვიდობიანობა არ დარღვეულა. რუსის თეირანელმა ელჩმა სპარსეთს მოსთხოვა დამნაშავეთა დასჯა, დაზარალებულთა დაკმაყოფილება და რუსის ქვეშევრდომთა ცხოვრების შემდეგში უზრუნველ-ყოფა.

**პეტერბურგი.** სიმართლეს მოკლებულია გაზეთების ცნობა, ვითომ რუმინიის მოსაზღვრე რუსეთის გუბერნიებში სამხედრო წესის შემოღებას აპირებენ და იქითკენ ჯარს ჰგზავნიან.

**ხოლმოლი.** სიმართლეს მოკლებულია ბოლგარიიდან მოსული ცნობა, ვითომ ბოლგარიას ღამ—ღამით მობილიზაციისთვის ჯარი გადაყაჰვდეს.

**პეტერბურგი.** სამხედრო საექიმო აკადემიის უფროსის მოხსენებისა გამო, სამხედრო მინისტრმა ბრძანა: ფიცხელი გამოძიება მოახდინონ 18 მარტს აკადემიაში მომხდარ ინციდენტისა გამო. ამ დღეს ლექციის დროს, პირველ კურსის სტუდენტებმა სცემეს სტუდენტების ერთ ჯგუფს. ამის გარდა, შტაბს-კაპიტანმა კლეინბოვსკის, აკადემიის უფროსის ნება დაურთველად, აკადემიაში კაზაკები შეიყვანა. გამოძიება მიენდო გენერალ-მაიორს ბოროდკინს. სწავლა პირველ კურსზე ახალ განკარგულებამდის შესწყდა.

მოგილიევის ქუჩაზე კაროლინა ფრანკის სახლში საღამოთი შევიდა ოთხი შეიარაღებული კაცი, «ოხრანნი» განყოფილების მოხელენი ვართო სთქვეს, და ფული მოითხოვეს. შემთხვევით შესულმა მეეზოვემ ისინი გარეკა. ქუჩაში მათ ხროლა ასტეხეს, დასჭრეს მეეზოვე, ორი პოლიციელი, ერთი მუშა, ორი სხვა მეეზოვე და მიიმალნენ, გაიტაცეს 2000 მანეთის ფასიანი ქაღალდები და 1500 მანეთი ნაღდი ფული. ერთი კაცი დააპატიმრეს, რომელსაც სამხედრო გადამწერის ფორმა ეცვა. ნამდვილად კი სტუდენტი აღმოჩნდა.

რედაქტორ-გამომცემელი

**ივ. ი. მჭედლიშვილი.**

# განცხადებანი


**ქართველ** ახალგაზდა მწერალთა, მთარგმნელთა, წიგნების გამომცემელთა და მესტამბეთა საყურადღებოდ. ვკისრულობ ხელთ-ნაწერების შესწორებას, კორექტურას და გამოცემათა ხელ-მძღვანელობას, ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებში.

**ადრესი**: ტფილისი, თხინვალის ქუჩა, სახლი ტოროშელიძისა, № 12. **პირადად მოლაპარაკება შეიძლება დილის 8 საათიდან 10 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე.**

(30—უ.—3) ია ეკალაძე-ტინცაძე.

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**ექიმები:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**გ. მ. ჩიქოვანი**: 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ფ. ი. ზაზანაშვილი**: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ავეტიხიანცი**: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი**: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გმელიშვილი**: 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**: 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. უჩერზინინა**: 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი**; 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.**

(150—ხალ.—48)

**მეჩექმეთა ამხანაგობამ**

## „ნდობამ“

დროებით შესწყვიტა ტყავეულობით ვაჭრობა, რადგან ვერაგმა ხელმა შეაჩერა მისი წინ მსვლელობა (გაქურდვით). სამაგიეროდ საუკეთესოდ მოაწყო **სახელოსნო განყოფილება**, სადაც მოეპოება ადგილობრივი ნამუშავარი, როგორც ძვირფასი შევრო და ხრომის ფეხ-საცმელი (ქალისა და კაცისა), ისე შავი საქონლისა ხელ მისაწვდენ ფასიანები, აგრეთვე საზაფხულო პარუსინისა, სუფთა და მკვიდრი ნამუშავარი, რისთვისაცა სთხოვს დაზარალებული ამხანაგობა შეგნებულ საზოგადოებას, ხელი შეუწყოს როგორც შეკვეთილ (ზაკაზის) საქმით, ისე მზად შეკერილის ყიდვით, და შკოლების საიჯარო საქმით. ვალად ვრაცხთ თავს, განვაცხადოთ რომ ყოველ აღებულ საქმესპირნათლად გაუძღვებით. ამხანაგობა გადავიდა კიროჩნი ქუჩაზედ, ბუდანოვის შენობაში, № 11-ში, აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების ცოტა ქვემოდ.

გამგე ამხანაგობისა **ს. ბერძნიშვილი.**

(20—569—15)

**საყურადღებოა**

## მამაკაცთათვის

შალის საქსოვლის ფაბრიკა ზიგმ. როზენტალისა ლოძში, № 126 გზავნის ფასდადებით «ტრიკო» № 1 (ძალიან მაგარი და სახეიროა მოხდენილ და დარბაისლურ ტანისამოსისათვის შავის ან შავრუხის ფერისა) აგრეთვე თითო ნაჭრად მთელის კოსტიუმისათვის 4¼ არშინისა, 5 მანეთად და 5 მანეთად და 25 კაპ. თითო ნაჭერი. ვინც ერთად სამ ნაჭერს გამოიწერს, სარჩულს მუქთად მიიღებს. (დაბარების წერილი რუსულად ან გერმანულად უნდა დაიწეროს).

Метцль и К° 4582. (3—№ 1—2)

**ქ უ თ ა ი ს შ ი**

გაიხსნა საწყობი ნამდვილი

## ყიფიანის ღვინისა

ქაიხოსრო ოტიას ძე ყიფიანის საკუთარი ვენახებიდან. ფასები ყველასათვის ხელმისაწვდენია.

ქუთაისი, ვ. ქილაძის შენობაში სობოროს პირდაპირ, „კომერციულ“ სტამბის გვერდით. (15—კვ.—6)

## ქუთაისში

### კიწმარიშვილის და ამხ.

**თესლეულობის კანტორამ**

მიიღო დიდ-ძალი იონჯის, კონდრის, სამყურის, პურის, ეკლის ხის, ბჟოლის და ყოველგვარ ბოსტნეულობის და ყვავილების თესლეულობა. პრეისკურანტები ყველას უფასოდ. (30—ფ.—5)

მკითხველ მგზავრთა და სოციალ-დემოკრატთა საყურადღებოდ

**იყიდება მხოლოდ რვა მანეთად**

მშვენიერ ვარაყიან ყდაში აკინძული სრული 1906 წლის სოციალ-დემოკრატის გაზეთების ყველა ნომრები: **«ხმივი»**, **«ელვა»**, **«ლამპარი»**, **«სიმართლე»**, **«ძალა»**, და **«ჩვენი ცხოვრება»**, **«გრიგალი»**, **«წინ»**, **«ფარი»** და **«გზა»**. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ან ნახონ ადგურ მიხაილოვის ბილეთების კასსირ ჩარხიშვილთან. იქავე იყიდება 1906 სრული წლის ყოველკვირეული და ყოველ დღიური გაზეთი **«ივერია»** აგრეთვე ყდებით და ქართული წიგნები: **„ცხოვრება და სიყვარული“**, თანამედროვე რომანი 400 გვ. ორი აბაზი; **«ვარინკას ამბავი»**, მოთხრობა 150 გვ. ერთი აბაზი და **ლექსები** 100 გვ. სამი შაური. შეიძლება ფასდადებითაც და მარკებითაც.

მისამართი: **ст. Михайлово Георгію Чархишвили.** (5—6.—5)

## კბილის საექიმოს სკოლა ლ. შტრეიხერის

**გადვიდა** ერევნის მოედანზე (პუშკინის ქუჩა, № 3), საკრედიტო საზოგადოების სახლში.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8 საათიდან საღამოს 7-მდე. კვირაობით დილის 9 საათიდან 1-მდე. ფასი შემდეგის ნიხრით: რჩევისათვის ან კბილის ამოღებისათვის (ძირისა)—20 კაპ.; პლომბა 50 კაპეიკიდან; ხელოვნური კბილის ჩაყენება—3 მანეთი თითო კბილის სადოსტაქრო ოპერაციებსაც აკეთებენ. (100—92)

ქიმიური ქარხანა გრიგოლ ... სა




## სასიკვდილო

საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ გავაღე

## პარტიობით სავაჭრო სპირტის საწყობი

ტფილისში, ვოკზლის ქუჩაზე, სახლი № 6. ტელეფონი № 197.

(3—598—2)